რედაქცია

[...] პროსპექტზე თ. ი. გ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებისა“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ძმების) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

წლიურად . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, სტრიქონი 1 კაპ. [...], წვრილად ნაბეჭდი [...] 8 კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს [...] გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

[მარი]ამობის დღესასწაულის გამო ხვალ, პარასკევს, გაზეთი „დროე[ბა]“ არ გამოვა.

ნახევარ წლის ხელის-მოწერა.

[ნა]ხევარის წლით, ე. ი. 1 ივლისიდამ 1882 წლის დამლევამდინ

„დროება“

ღირს გაგზავნით 5 (ხუთი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.

## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-მორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პარიჟი, 19 ივლისს. საფრანგეთმა [შე]აჩერა ჯარის შეიარაღება. ადმირალს [კ]ონრადს ბრძანება გაეგზავნა, რომ [ნ]ეიტრალიტეტი დაიცვას.

რომი, 19 ივლისს. იტალიამ გა[მო]უცხადა ინგლისს, რომ ეგვიპტის [სა]ქმეებში არ დაეხმარება.

კაირო (ეგვიპტე), 19 ივლისს. სა[ს]ულიერო და საერო დიდებულ პირ[თ]ა კრებამ არაბი-ფაშა სამშობლოს [დ]ამცველად აღიარა და ქედივი-კი [მ]ტრის მოღალატედ და მაჰმადიანი [რჯ]ულის დამრღვეველად.

ადენი, 18 ივლისს. ცეცხლის-გემა (კრეისერი) „მოსკვა“ დაიღუპა რას-[ხა]ფურთან; გემზე მსხდომნი და მო[სამსახუ]რეები კი ყველანი გადაარჩინეს და, როგორც ამბავი მოვიდა, ყველანი [ჯანმრთელნი] ვართ, მშვიდობით არიან.

პეტერბურღი, 19 ივლისს. „გო[ლო]სში“ სწერებიან, რომ ჭუკუევის [ც]ხენოსნებმა თაობაზედ დისტანციის [ს]ფროსი, იმ ადგილის ყარაული და [ფო]სტის მასტერი მიეცაიათ პასუხის-გე[ბ]აში.

პეტერბურღის ბირჟა, 18 ივლისს.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 94 — | 50 |
| მეორესი — — — — | 90 — | 37 |
| მესამესი — — — — | 90 — | $50^{1}/_{2}$ |
| მეოთხესი — — — | 90 — | $12^{1}/_{2}$ |
| მეხუთესი — — — | 90 — | 5 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89 — | 75 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89 — | 25 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89 — | 50 |
| ოქრო, $^{1}/_{2}$ იმპერიალი | 8 — | 23 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 212 — | „ |
| მეორე სესხის — — | 210 — | 75 |

100 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — | 24 — | 3 | პენსი |
| ჰამბურღი — | 205 — | 25 | ცენტი |
| პარიჟი — — | 252 — | 25 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — | „ | პფენიგი |

## ერთი საისტორიო საგანი

ტფილისი, 21 ივლისს.

საქართველოს მართლ-მადიდებელი ეკლესია დღეს ითვლება რუსეთში, მთელს აღმოსავლეთ ქრისტიანობაში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ძველ პირველ დროების ეკლესიად, იმ გვარადვე, როგორც საბერძნეთისა და სომხეთისა. ყოველ ამ ეკლესიებს ჰქონდა და ზოგს აქვს დღესაც თავისი განსაკუთრებული თვით-მმართველობა, შინაური ადათი, წესები თავისის მართვისა და გამგეობისა, საკუთარი მღვდელთ-მთავრობა, საკუთარი წყობილება სამღვდელოებისა, საკუთარი წმიდანებს ესავს და საკუთარი ენა აქვს მღვდელ-მოქმედებისა და წირვა-ლოცვისა.

ყველა ძველ ეკლესიების თვით-მმართველობის განსაკუთრებული წესები და მხარეები ისტორიულად გამოკვლეულია საკმაოდ, ხალხის მეხსიერებაში დარჩენილია ეკლესიის მსახურთა გარდმონაცემით.

სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, რომ ძველი საქართველოს ეკლესიის ისტორია ჩვენში ძალიან ნაკლებათ იცის თვით სასულიერო წოდებამ. ეს უცოდინარობა მავნებელია, როგორც თვით მისთვის, აგრეთვე სამწყსოსთვის. ამიტომ შესწავლა და გამოკვლევა საჭიროა. ისტორიაში ბევრი რამ დღევანდლამდე გამოუკვლეველია და გამოურკვეველი. ამისი გამოკვლევა და შესწავლა არც ძნელი იქნება, რადგანაც დოკუმენტები უეჭველად მოიპოვება.

ერთი ნაკლულევანება ჩვენის ეკკლესიის ისტორიისა მეტადრე შეეხება ეკლესიის თვით მმართველობას. ამაზე არეულ-დარეული აზრია ჩვენში და ნათლად იმისი ცოდნა ბევრს იმისთანა მხარეს გაგვაგებინებდა, რომელიც ახლა არ გვესმის.

ჩვენში გარდმონაცემით ხალხის მეხსიერებაში დარჩენილა ის აზრი, რომ საქართველოს ეკლესია იმ გვარათვე წესებით იმართებოდა, როგორც ეხლა სომეხთ ეკლესია; ესე იგი ჰყავდა კათალიკოზი, მთავარ-ეპისკოპოზნი და მღვდელ-მონაზონნი დიაკვნებითურთ. მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში არ მდგომარეობს.

მღვდელნი, ეპისკოპოსნი და კათოლიკოზი როგორის წესით ინიშნებოდნენ? ისე როგორც ეხლა, თუ სხვა გვარად?

ხალხის გადმონაცემი და ზოგი ისტორიული ფაქტები, რომელიც ვიცით გვაჩვენებს, რომ მღვდელთა და მათ უფროსთა დანიშვნა ძველს საქართველოში იმ გვარივე ყოფილა, როგორც ეხლა სომეხთ ეკლესიაშია და რომელიც უძველესს დროებში აღმოსავლეთის ყველა ეკლესიებში ყოფილა.

ეს განსაკუთრებული წესი ამ გვარი ყოფილა, რომ მღვდელი პირ-და-პირ ეპისკოპოზისგან კი არ ინიშნებოდა, არამედ უნდა ამოერჩია თვითოეულ ეკლესიის მრევლსა თავისთვის. ამოარჩევდნენ მთავარ-დიაკვნებში, რომელნიც ღირსად მიაჩნდათ; იმას წარუდგენდნენ ეპისკოპოზს, იგი აკურთხებდა და დაამტკიცებდა ამომრჩეველ მრევლის ეკლესიაში. სადიაკვნონი მღვდლის და მრევლის ამორჩევით მიიღებოდნენ და შემდეგ მათისავე წარდგენით ეკურთხებოდნენ მთავარ-დიაკვნად ეპისკოპოზისაგან.

ეს რაც შეეხება სამრევლო ეკლესიებსა, მასზე მოვიხსენეთ. დღეს სომეხთ ეკლესიებში, თვით ქალაქში, როდესაც მართლ წესიერებაა, ასე აწარმოებს საქმე.

მეფის კარის ეკლესიებში და თავადთა ეზოს ეკლესიებში სხვა წესი ყოფილა, რომელიც თითქმის დღევანდლამდე დარჩენილია თავადთა ეზოს ეკლესიებში: სამღვდელოს ირჩევდა მეფე და თავადი, წარუდგენდა ეპისკოპოზს და იგი აკურთხებდა და დანიშნავდა მეფის კარის ანუ თავადის ეზოს ეკლესიაში.

აქ უნდა მოვიხსენოთ ის გარემოება, რომ ხშირად მღვდლობა რომლისამე სამრევლო ეკლესიისა, თუმცა საშვილი-შვილოდ გარდადიოდა (ეხლაც ბევრნი მოსთვლიან ქართველებში და სომხებში სამოცზე მეტს თაობას), მაგრამ მაინც მღვდლის შვილებში ერთს ამჯობინებდნენ მეორესა, ერთს უპირატესობას აძლევდნენ მეორეზე.

ეპისკოპოზი ინიშნებოდა კათოლიკოზის ამორჩევით მონასტრის წინამძღვრებისაგან. ამ ამორჩევაზე ალბათ არავითარი გავლენა არა ჰქონდა [ერ]ს. ჩვენ არ ვიცით მონასტრის წინამძღვარი პირ-და-პირ ინიშნებოდა თუ მონასტრის ბერ-მონაზონთა არჩევის შემდეგ.

ბოლოს, კათოლიკოზის დანიშვნა როგორ ხდებოდა?

სომხებში ეხლა საცა კი სცხოვრებენ, თუ თვით სომხეთში, ანუ სხვაგან ყოველ სამრევლო ეკლესიებში ხალხი იყრება, მსჯელობა აქვთ, სიებს ადგენენ კანდიდატებისას, ვისაც მრევლის ხმის უმრავლესობა ერგება, მას წარუდგენენ ეპისკოპოზს, რომ ჩვენი საკათოლიკოზო კანდიდატი ეს არისო. ამ ამორჩევაში მღვდელთა და ერსა ერთი ხმა აქვს. შემდეგ სამრევლოთაგან ამ გვარად ამორჩეულ კანდიდატების სიებს ეპისკოპოზები ჰგზავნიან ეჩმიაძინში და აქ საზოგადო კრება ჰხდება მთავარ-ეპისკოპოზთა. ამ კრებაში შინჯავენ წარმოდგენილ კანდიდატების სიებს, ამოწმებენ და ვისაც მომატებული ხმა ერგება, ის ითვლება კათოლიკოზად ამორჩეული და იმას წარადგენენ ხელმწიფესთან დასამტკიცებელად. რაკი ეჩმიაძინი რუსებს უჭირავთ, მაგალითი არ ყოფილა, რომ ამორჩეული კათოლიკოზი არ დამტკიცებულიყოს. ძველ დროს სომხეთის მეფენი ამტკიცებდნენ; მერე მეფობის გაუქმების შემდეგ ხვანთქარი ანუ შაჰი, ანუ ერთად თანხმობით.

საქართველოში ვიცით ისტორიით, რომ კათოლიკოზის ამორჩევა ხდებოდა მცხეთას, სვეტიცხოვლის ეკლესიაში მთავარ-ეპისკოპოზებისა და ეპისკოპოზებისაგან; მერმე მეფეს წარუდგენდნენ დასამტკიცებლად; მეფეს ყოველთვის უნდა დაემტკიცებინა. თუ რასმე ეკლესიის საწინააღმდეგოს შეამჩნევდნენ საქართველოს კათოლიკოზს, მეფეს თავისით არ შეეძლო მისი გადაყენება; უნდა გაერჩიათ ისევე მცხეთის კრებაში კათოლიკოზის მოქმედება და როდესაც დანაშაულობას დაუნახავდნენ, გადააყენებდნენ და მის ნაცვლად სხვას ამოარჩევდნენ. ამ გვარად საქართველოს კათოლიკოზი ყოველთვის მცხეთის კრებისაგან უნდა ყოფილიყო ამორჩეული და შემდეგ მისის წარდგენისა დამტკიცებული. თავისით მეფეს კრების ამოურჩევლად არ შეეძლო დანიშვნა კათოლიკოზისა.

მცხეთის კრებაში ყოველთვის უნდა ყოფილიყვნენ მთავარ-ეპისკოპოზნი საქართველოს ყველა ნაწილიდგან. მაგრამ როდესაც რომელიმე მიზეზი აბრკოლებდა სრულის კრების მოხდენასა, (მტრის შემოსევა და დაპყრობა რომლისამე ნაწილისა, საშიშო მდგომარეობის გამო საჭიროება, რომ მა-

ლე ჰყოლოდა ქვეყანას მღვდელთ-მთავარი), მაშინ მარტო ქართლ-კახეთის ან მარტო ქართლის მთავარ ეპისკოპოზნი იყრებოდნენ კრებაში, და იძულებულნი იყვნენ სხვების მონაწილეობის მიუღებლობით ამოერჩიათ ეკკლესიის უფალი.

არის ერთი მხარე ისტორიისათვის გამოსაკვლევი; ზემოხსენებულ მცხეთის კრებაში მთავარ-ეპისკოპოზნი და ეპისკოპოზნი პირ-და-პირ თვითონ არჩევდნენ საკათოლიკოზო კანდიდატსა, თუ წინად თავის სამწყრო საეპისკოპოზოში, სამრევლო ეკკლესიებში ახდენდნენ სამრევლო კრებებს და მათგან ამორჩეულების სახელებს არდგენდნენ მცხეთის კრებაში, როგორც სომხეთ ეჩმიაძინის კრებაშია ხოლმე?

ამას გარდა, თუ ეს სამრევლო კრებები იყო, ვის ჰქონდა ამ კრებაში ხმის უფლება: ყველა წოდებას, მღვდელთა, თავადთა, აზნაურთა, მოქალაქეთა, გლეხთა და ყმათა, თუ მხოლოდ მღვდელთა და თავადთა?

ჩვენს ისტორიაში რამდენიმე გაკვრითი სიტყვა არის, რომელიც შეეხება კათოლიკოზის წინაამდეგ ამბოხებას, ეს ამბოხება, უნდა ვგონებდეთ, რამდენადმე ხდებოდა იმ მონაწილეობისაგან, რომელიც ერის კაცთ სამრევლო ეკკლესიის კრებაში უნდა ჰქონოდა. ეს კითხვა მაინც კითხვად დარჩება, სანამ ისტორიულად არ აიხსნება.

სასურველია და ვალიც არის, რომ ეს მხარეები შეამუშაონ ჩვენის ისტორიის მშრომელთა, სამღვდელოს და ერის კაცთა.

ეს მით ძვირფასი იქნება, რომ ეხლა ჯერ კიდევ საქართველოს ეკკლესიას თუმცა შერჩენია რამდენადმე თვით-მმართველობა, მაგრამ მაინც ბრწყინვალეს მდგომარეობაში არ არის. ვინ იცის ისტორიულს გამოკვლევას ეკკლესიის გაბრწყინვალებისთვის რამდენი შემწეობა მიეცა და აღედგინა ის ღირსეული, მაღალი სასურველი მდგომარეობა რომელიც ეკკლესიას უნდა ეპყრას საქართველოს მწყემსთა და სამწყსოს საკეთილოდ.

## დღიური

ერთი სასიამოვნო და მეტად საყურადღებო ამბავი შევიტყვეთ და დიდის გულით გვსურს, რომ ეს ამბავი მართალი გამოდგეს: ამბობენ, პეტერბურღიდამ ცნობა მოვიდაო, ვითომც საქართველოს ეგზარხოსის თანამდებობაზედ ნიშნავენ იმერეთის ეპისკოპოსს ყოვლად-სამღვდელო გაბრიელს.

ყოვლად - სამღვდელო გაბრიელს იმდენი შრომა და მოღვაწეობა მიუძღვის საქართველოს ეკკლესიისა და საეკკლესიო საქმეების წინაშე, ისეთი მცოდნეა ის ჩვენი ქვეყნის სასულიერო და საერო მოთხოვნილებისა, ისეთი გონება განვითარებული კაცაა, რომ იმის დანიშნვა ჩვენის ქვეყნის მწყემსთ-მთავრად მართლაც ყველასთვის სასიამოვნო და სანატრელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

* * *

ოთხი დღეა, რაც პატარათი აგრილდა და მუდამ მსუბუქი ქარი ჰქრის, ხან სამხრეთ-დასავლეთისა, ხან ჩრდილოეთ-დასავლეთისა. საშინელი არდადეგებისაგან დათენთილი ხალხი სულს იბრუნებს მეტადრე საღამოობით. წინა დღეებში ჩრდილში რეომიურის ტერმომეტრი (სითბოს საზომი) შუადღისას იდგა 31 და 32 გრადუსზე, ახლა 23 და 24-ზეა. აგრილება თითქმის მერცხლებმაც კი იგრძნეს და თითქოს წასვლის წინა მზადებისთვის რჩევა აქვთ. ჯგუფ-ჯგუფად ექსიათი ერთად ჭიკჭიკებენ. იქნება მართლა ისეთი პაპანაქება აღარა ვნახოთ

* * *

ამ ჟამად ქალაქში დიდს ქესატობას უჩივიან ჩვენი ვაჭრები. თავს დღეში ამისთანა აღებ-მიცემის დაცემას არ მოსწრებიან: არც მუშტარი ჩანსო, ვერც მიაცემი გადაუხდიათ ფულის და საქონლის პატრონისთვის, ვერც ასალები აუღიათ. უფულობა ძრიელ საგრძნობლათა ჩანს. ვაჭრებს ფული ვერ უშოვნიათ თითქმის გირაოთიც (აღარ აქვთ ნდობა).

დუქნები და სახლები ბევრი ცარიელია—თან-და-თან იცლება. ამის გამო სახლების გამყიდავნი ბევრნი არიან, რადგან მოელიან, რომ ბაქოს რკინის გზა უფრო დასცემს ფასებსა.

* * *

ამ რამდენიმე წლის წინად პოლიციის განკარგულებით აღკრძალეს ქუჩებში ზურნის დაკვრა, შემდეგ, ნამესტნიკის ბრძანებით, ზოგიერთის ცვლილებით ნება მიეცა; პოლიცია დღეს-ისევ პირველ განკარგულებას ადგას. ზაფხულის მთვარიან ღამეში ქალაქში ჩვეულებაა ჩონგურის, დუდუკის, სალამურის დაკვრა და სიმღერა. პოლიციის გოროდოვოები ხალხს ამაშიაც აწიოკებენ.

ხალხს რაც უნდა დაუშალონ, სიმღერას ვერ მოაშლევინებენ, ამიტომ რომ სამხრეთის თბილი ჰაერი ყველა ქვეყნებში, თვით განათლებულ ქვეყნებშიაც სიმღერის და საკრავის დაკვრას ადამიანის ბუნების თვისებათა ხდის. ათასი ხარჯი და ჯარიმა რომ დაადოთ კაცის აგებულობას, ვერ შესცვლით. სამხრეთის ხალხს სიმღერა და საკრავი ისეთსავე საჭიროებად მიაჩნია, როგორც სმა და ჭამა, და ამის გამო თვით უპირველეს განათლებულ ქვეყნებში, სამხრეთ საფრანგეთში, იტალიაში და ესპანიაში ქუჩებში სიმღერები, დაკვრა, სერენადები გავრცელებულია, როგორც ჩვენში. . . .
. . . . . . , . . .

## „დროების“ კორრესპონდენცია

სოფ. ბაღდათი (ქუთ. მაზრ.) 6 ივლისს. 4 ივლისს მთავარ-მმართველი კავკასიისა თ. დონდუკოვ-კორსაკოვი მობრძანდა აბასთუმნიდამ ჩვენს ქალაქში და ამ მოგზაურობაში გამოიარა ქუთაისის მაზრის სოფ. ბაღდადს, სადაც მას დაუხვდა ჩვენი მაზრის თავად-აზნაურობა. [illegible] საათის წი[illegible]ვარიზე მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ. ალმასხან ნიჟარაძემ მიიღო ცნობა, რომ დიდი სტუმარი მობრძანდებაო ბაღდადსა 2 საათზე. ამნაირმა მოულოდნელმა ახალმა ამბავმა, (რადგან მთავარ-მმართებელს მოელოდნენ ბაღდადში ოთხს საათზე და არა ორზე) დიდი მოძრაობა შფოთი მოახდინა იქ. ვინ რას შეებოდა არ იცოდა, ზოგი ცხენს ეძებდა, ზოგი ფაიტონს და ზოგი ადგილს საიდამაც შეეძლო დანახვა სტუმრისა.

ბოლოს, როგორც იქნა, თავადი ნიჟარაძე თავად-აზნაურობითურთ გაემგზავრა ცხენებით შესაგებებლად. ცხენოსანი თავად-აზნაურობა, რომელსაც დიდ-ძალი ქალი და კაცი გაჰყვა, გაჩერდა ნახევარ ვერსის მოშორებით სოფ. ბაღდათიდამ.

ეს აჩქარება ტყუილი შეიქნა: მთავარ-მმართებელი მობრძანდა თავის მხლებლებით ექვს საათზე. მას მიეგება თ. ალმასხან ნიჟარაძე, რომელიც წინ უდგა მშვენიერად მორთულს თავად-აზნაურობას. თ. ალმასხან ნიჟარაძე მიუახლოვდა, მთავარ-მმართებელმა ხელის მიცემით გააცნო თავი და უთხრა, რომ ის ისე გრძნობს ამჟამათ თავის თავს, თითქო მოსული ყოს თავის სამშობლოში, სადაც გაუტარებია სანატრელი დრო თავის ცხოვრებისა, სიჭაბუკისა და სიხარულისა. თ. ალმასხანმა წაუკითხა შემდეგი სიტყვა:

„მაქვს ბედნიერება სახელით [illegible]თაისის აზნაურობისა, ღმობიერის ალერსით მოლოცვად თქვენის ბრწყინვალებისადმი მშვიდობით მობრძანება ჩვენს მხარეშიდ; ვითარცა უწყებულ არს თქვენის ბრწყინვალებისადმი მხარე ჩვენი არს სიმდიდრით დაჯილდოებული ბუნებისაგან, იგი არს დაშენებული ერისაგან, ღრმათ ერთგულისა მართებლობისადმი, წარმატება ჩვენის მხარისა, გახსნა გონებითის და ეკონომიურის ძალთა მი-

«დროების» ფელტონი, 22 ივლისი

## ჯავახეთიდამ

### არხეოლოგიური შენიშვნები

(დასასრული *)

მრავალი წარწერაებიც ამ დიდებული ეკკლესიისა გაბნეულია სახლებში და სასაფლაოებზედა. ისეთი სძულსთ სომხობას საზოგადოდ ხუცური ნაწერები, რომ ყოვლის ღონის-ძიებას იხმარებენ მათ დაფარვას და წაშლას, თუ შეეძლოსთ. ისე მაჰმადიანები არ არიან ასე მტერნი ქრისტიანთ ეკკლესიებისა, როგორც ესენი მტერნი არიან ქართველთ ძველი ძეგლ-წერილების და ეკკლესიებისა. ორი წლის წინად ჩემი ნახული ტაძრის კედლები აღარ დამხვდა; კიდე შეუგლეჯიათ ქვეები. რამდენსაც ვარიგებთ, და ვსთხოვთ, რომ ძველ ეკკლესიებს ხელი არ ახლონ, შეინახონ, იმდენი უფრო უარესს შვრებიან. ვგონებ დროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამისთანა უწესოებასა და ფიცხლად დასაჯონ ამისთანა გაბოროტებული ხალხი. თვარემ თუ ასე წავიდა, ათსა და ოც წელიწადის შემდგომ ყოველი საძველე და ძეგლ-წერილნი ძირიანად მოისპობა ჩვენში!..

ამას წინად [illegible]ადეშის ქვაბები ვნახე და იქ დამხვდა ლურსმნული წარწერილების ორიოდე სტრიქონი. თორმეტიოდე თვალია ეს ქვაბები, ათასოდის სული დაეტევა! ამ ქვაბების მნიშვნელობამ მიმიზიდა და მოვინდომე ზელსუნდისა და ჭოლდის ქვაბების ნახვაცა. როგორც სჩანს, ზელსუნდა ხერთვისის ნაწილი უნდა იყო ძველადვე გარედ უბანი ისე, როგორც ტოლოში; ამას ამტკიცებს სოფლებს შუა ახალ გაშენებულ ბაღმერლების ადგილები, სადაც სთხრი[illegible] და სულ ძველი ქვითკირის შენობების საძირკვლები სჩნდება. თუ ასეა, ხერთვისი საკმაო ვრცელი ქალაქი ყოფილა მის დროს. ტოლოშიდგან ზელსუნდამდის 6-7 ვერსი იქმნება.

ზელსუნდისა 6 ქვაბი არის შესანიშნავი, ერთი მოდიდოა და სხვა წვრილი. ჭოლდე კი სალი ყოფილა ამათში ერთი ეკკლესიად ჰქონიათ; სჩანს საკერპო ეკკლესიად გარდაუკეთებიათ: ტრაპეზის ქვები დაურღვევიათ და მხოლოდ ქვის სვეტის ძირი ვნახე, რომელზედაც სხვა ნაირი ნაწერია, ამათში ხუცური ასოებიც არის შერეული არ ვიცი შემდგომ შეურევიათ თუ თავიდგან ისე ყოფილა. ძლიერ საინტერესო იქნებოდა თუ ეს წარწერილობა მთლივად დაშთენილ იყო.

ზელსუნდის მახლობლად ფია არის. ესეც ბაღჩიანი სოფელი ყოფილა; მაგრამ ქურთებს ბაღჩები გაუუქმებიათ და მხოლოდ კაკლის ხეები დაუტოვებიათ. ამ სოფლის მიდამო სულ სავსეა ვენახების დარეჯებით; ორი ეკკლესია არის, ერთი მთელი მეორე მოზდილი და ნახევრად დარღვეული. მთელ ეკკლესიის ტრაპეზის ქვაზედ აწერია ხუცურად:

„სახელითა ღვთისათა მე ჩქარმან და ძმათა ჩემთა დავდგით ესე ეკკლესიაი. ქორონიკონი იყო, სიე.“

ძველის ეკკლესიის ერთ საკიდურის ქვაზედ მეტად ძველ ხუცურით ეწერა:

„ესე ეკკლესიაი წმიდა გიორგი, ეს ქვაი ელასვიგრელ ძევი“.

სჩანს ქურთები უფრო კრძალვით ეპყრობიან ეკკლესიებსა, ისე შეუნახავთ სუფთად, კარგად, თითქო ქრისტიანები არიანო!

ფიის სოფლის კარგა დაცილებით ჭოლდის სოფელია მტკვრის პირას. აქაც ქურთები არიან: ამის ქვაბები უფრო შესანიშნი არიან სიდიდით[illegible] ერთს ადგილს შევნიშნე, გვირაბი მიდის წყლამდის ფარული გზით;

*) „დროება“, № 150.

…არიან დამოკიდებულნი ვონი-… და სამართლიანსა მმართველობა-… ჩვენს უავგუსტოესს ბრძანე-…, სათნოდ უჩნდა დანიშვნათ … მხარის უმაღლესს მმართველათ … ბრწყინვალებისა შემცველისა-… შორის აღნიშნულთა თვისებათ. … საყოფელად მისსა რომელ … თველობათ თქვენის ბრწყინვალე-… იქნება ნაყოფიერად და კეთი-… მყოფელად ჩვენთვის, მსახურე-… თქვენნი დიდებულნი წასრულ-… მოქმედებანი სარბიელსა ზედა სა-… მსახურებისასა და კე-… განწყობილება ჩვენის მხარისად-… მოპოებულნი თქვენ მიერ ხელ-… ლობასა ქვეშე ჩვენ ყოველ-… დაუვიწყარის კნიაზის მიხაილ … ონის-ძის ვარანცოვის.

„ან გვრჩება მხოლოდ ის რომ … ვედროთ უზენაესსა რათა შემწე … თქვენის ბრწყინვალებისა დაარ-… შინა წინეთ გამოხატულებათა … თა მიმართულთა კეთილ დღე-… ბისადმი ჩვენის მხარისა.“

დიდი მადლობა უთხრა მთავარ მმარ-… მა თ. ნიჟარაძეს ამ სიტყვისთ-…, რომელიც რუსულათ მოხსენდა … თ. ნიკოლოზ ჩიჯავაძისაგან, და … ხოვა რომ სახსოვრათ მას მიეცეს … სიტყვა წერილათ. თ. ალმასხან … ჟარაძემ მოთხოვნილებისა თანახმათ … თვა მას ნაწერი თავისი სიტყვა … თარგმნი რუსულს ენაზე,

აქედამ მთავარ მმართებელი წაბრ-… ძანდა თვით ბაღდადში. აქ მრავალი … ხალხი დახვდა მას. ყველაზე პირვე-… ლად მან ინება კურთხევის მიღება … კლესიაში და მერმეთ მიიღო პური … და მარილი მიმგებლებისა. აქვე თ. … დუკოვ-კორსაკოვმა მიირთვა ღვი-… ნო სადღეგრძელოთ და გასამარჯ-… ვებლოთ მოქალაქეებისა. შემდეგ მი-… ართა ადგილობრივ მომრიგებელ მო-… სამართლეს და მომრიგებელ შუამა-… ვალს.

ბოლოს გამოუცხადა საზოგადოე-… ბას დიდი სურვილი, რომ დაჩქარებით დაიზომოს ჩვენ მხარეშის მიწები; რომ ყოველ მემამულეს გარკვეული და განსაზღვრული ჰქონდეს თავის მამულები.

აქვე მთავარ-მმართებელმა დახედა ჩერნომორსკი პოლკის ბანაკი და კიდევაც წამობრძანდა ქ. ქუთაისს.

ამ შემთხვევისათვის ისეთი მრავალი რიცხვი ქალი, კაცი და ყმაწვილები შეიკრიბნენ ბაღდადს, რომ ძნელი დასაჯერებელი იყო სოფელში ამდენი ხალხის ხილვა.

ნ. ნ. ქ—ძე.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! თქვენის პატივცემულ გაზეთის 145 №-ში დაბეჭდილმა შენიშვნამ, რომელიც მეხება მე, იძულებულ მყო მოვწეროთ ეს წერილი უმორჩილესის თხოვნით მისცეთ მას ალაგი ერთს ახლო გამოსავლელს გაზეთის №-ში.

ტფილისის ბერძნის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის დიაკვანს ხუნაშვილს არსაით გზა რო აღარა აქვს, რადგან ყველგან მას კარგად იცნობენ, მოუხწევია თქვენამდის, მოუტყუებიხართ, შეუბრალებია თქვენთვის თავისი თავი და გაურჯიხართ იმდენად, რო დარიგებაც დაუბეჭდინებია თქვენთვის მაღალ-სამღვდელო მთავრობისადმი.

შავ ზღვის პირიდან აქ ჩამოსული მღვდელი ლაზარე იოაკიმოვი გახლავართ მე, მაგრამ მე აქ არსად და არავის არ დაუნიშნივარ. მე ტფილისში ჩამოველ ჩემის ნებით დასასვენებლად და ადგილი მაქვს სრულიად სხვა ეპარხიაში. მაშა სადამე ჩემს და ხუნაშვილს შორის არა რაი დამოკიდებულება არა ვისგან არ არის დაწესებული.

23-ს ივნისს, წინეთ საბლალოჩინოში წასვლისა მღვდელმა მ. სარიევმა მთხოვა, რო მის ეკკლესიაში მის მაგიერ კვირა დღეს მეწირა. რადგან მე დღეს არა საქმე არ მომელოდა, ამისთვის ვიკისრე იმ დღეს წირვა. 25 ივნისს ამათ პრიხოდში გარდაიცვალა დედაკაცი, რომელიც მთხოვეს მე დამესაფლავებინა 27 ივნისს, რაიცა აღვასრულე. პოვლის წესის ასრულების შემდეგ მე წაველ ჩემ სახლში. საღამოზედ მგლოვიარეებმა შემომითვალეს: ეკკლესიაში გამოსვლა გვსურსო და თუ შეიძლება, საღამო ლოცვა გადიხადეთო. თუმცა ავათ ვიყავი დასიცხვისაგან, მათ ეს თხოვნაც აუსრულე. აქ პირველათ გავიგე, რო მგლოვიარებს ჩემთვის გამოუგზავნათ შაქარი, რომელიც ბიჭს წაართვა ხუნაშვილმა და თავის თვის წაიღო, ბიჭს უთხრა: მე გადუტან მღვდელსაო. ლოცვა რო გათავდა, ვკითხე მთავარს. შაქარი რო ბიჭს წაართვი, რა უყავი? ხმა არ გამცა. მეორეთ ვკითხე—ჩემსას წაიღეო—შენსას რათ მიგქონდა, როდესაც მე გამომიგზავნეს? ეს სადაური ტაცობაა?! აი მ. სარიევისაც უთოოდ ასე ექცევი და მერე ემდურები ცუდი კაციაო. ამ სიტყვაზედ მას ჩემთვის ხმა არ გაუცია და არცა რამე უთხარი-რა.

ეს ზემოხსენებული ლაპარაკი მოხდა ეკკლესიის სტოროჟის გიორგის წინ, რომელიც დაამტკიცებს მის ჭეშმარიტებას.

მეორე დღეს, 28 ივნისს, რა მოხდა მგლოვიარების და მთავრის შორის-არ ვიცი. საღამოზედ ჩემთან მოვიდა ერთი ქვრივი დედა-კაცი, რომელმაც დიდის ბოდიშის მოთხოვნით მომიტანა შაქარი. მე ამ დედა-კაცს ვკითხე:—რათ ართმევდით დიაკვანს, დეე წეღლო, საწყალი კაცია. დედაკაცი მომიყვა მის ჩანადენს საქმეებს და ბოლოს მითხრა:—რაც იმას ეკუთნოდა, ჩვენ მივეცითო; ის ისეთი კაცი არ არის, რო ვისმეს რამე თავისი შეარჩინოსო. ეგ სარიევი როგორც დაიბრიყვაო ისეც თქვენი დაბრიყვება სურსო: თავის წილს არ სჯერდება, თქვენსასაც ტაცულობსო. ჩვენ თქვენი პატივისცემა გვსურსო და ეს შაქარი თქვენ საკუთრივ მოგართვითო. მთავარს არა ნაწილი არ აქვსო, რადგან თავისი წილი ჩვენგან წაიღოო. ამის მთქმელი დედა-კაცი ჯერაც ცოცხალია და მათ ჭეშმარიტებას ყოველთვის დაამტკიცებს.

3-ს ივლისს საბლალოჩინოდან ჩამოვიდა სარიევი და თუ აქნობამდის რამე კავშირი იყო ჩემს და ხუნაშვილის შორის, ამ დღიდან ეს კავშირიც მოისპო.

11-ს ივლისს, 11 საათი იქნებოდა, ის იყო ქალაქში წასვლას მოვემზადე, მობრძანდა ჩემთან ხუნაშვილი.—რა გნებავს?—აბა, მღვდელო, რატო არ მაძლევ ჩემ წილ შაქარს?—რა წილი შაქარი?—თქვენ რო შაქარი მოგართვეს, მეც მაქვს იმაში წილი.—შენ შენი წილი რაც გეკუთნოდა აკი მოგცეს! გაჩერდა, ხმას არ იღებს. რაც დედა-კაცმა მითხრა ყველაფერი უამბე და დაუმატე:—თუ რამე გამოურთმელი დაგრჩენია, წადი და გამოართვი ვასაც შენი მართებს.—„მე იმათ არ ვიცნობ, მე შენ გიცნობ; რო აქედან არ დავიძრი, რას იზამ თუ არ მამცემ“? თვითონ ხუნაშვილია მოწამე, რო მე ფულის ხარბი არა ვარ. ორჯერ ვწირე ამათ ეკკლესიაში და ორჯერვე ჩემის ფულიდან მივეცი მგალობელ რუსებს, თუმცა ამათ ჩვეულად აქვთ დაწესებული ეკკლესიის ფულიდან ძლევა. რასაკვირველია, მე შაქარი არ მენანებოდა, მე იმან გამაკვირვა და გამაოცა—რა ნაირის უსინიდისო მოქცევით და აშრომბით უნდა გაიტანოს ის, რაც მას სრულიად არ ეკუთვნის!

სამჯერ გაუმეორე: წადი აქედან, მე შენი არა მართებს-რა, არას მოგცემ, აქ ტყუილად ნუ ამეტუზე! ამ სიტყვებით გამოველ და დავაპირე ქალაქში წასვლა. ვერ მოვასწარ კიბეებიდამ ჩამოსვლას, როგორც შემომესმა ხმაურება. დავბრუნდი უკან და ვნახე აკი დედაჩემს არ ეჩხუბება. რაკი დავრწმუნდი, რო სიტყვით არ შეიძლება მისი, დათხოვნა, ვკარ ხელი და ჩემის სახლიდან გავაგდე.

ეხლა გასაჯეთ თქვენც და ყველა

---

…გვრაბთან არის ეკკლესია კლდეშივე … გამოჭრილი, სამი ტრაპეზიაო მოუშ-… ლელად, მითხრეს; მაგრამ თვით გა-… მოვსებული იყო პირთამდის. ადგი-… ლობრივ ქურთებიც მთად წასულ … იყვნენ, აღარავინ იყო სოფელში.

ჭოლდითგან 8 ვერსის სიშორეზედ … არის თმოგვი (თავი მოგვი), რომე-… ლიც ძველადგანვე განთქმული ციხეა … სიდიდით და შეუვალობითა ჩვენს … მართლის ცხოვრებაში“. მეტად მა-… ღალს კლდეზედ აშენებულია ეს ცი-… ხე: კაცს მარტო კედლითგან გარდმო-… ხედვა ეყოფა თავ-ზარ დასაცემად, იმ … სიღრმე უფსკრულია! ციხე დადგენი-… ლია ორის კლდის თავზედა; ეს კლდე-… ები კედლებით გარდაუბიათ. დედა … ციხე კიდევ დაშთენილია, ნახევრად … მაინცა დარღვეულია და დანაშთი კი … სრულ დაუქცევია მტერსა. ერთიან … 4.5 ვერსი იქმნება სიმრგვლე ამ ცი-… ხისა მოყოლებული წყლის პირითგან … თავამდის. დედა ციხეში მე ვერ შევძელ ასვლა, ჩემი ყმაწვილი ავიდა, ნაწერი ვერა ენახა-რა. ორი ეკკლესია არის, ერთს დასავლეთისკენ აქვს კანკელი და ტრაპეტიცა. ორიც დიდრონი ორმოები ენახა, საფქვილე თუ საცავი, ქვითკირით ამოტანილი. ამ დედა-ციხეში ამოდის ის საიდუმლო გვირაბი წყლის ამოსატანი, რომელიც ნახევარზედ მეტი დარღვეულია. ციხის ქვეშ არიან სამხრით კლდეში თმოგვის დიდრონი ქვაბები.

ზეითგან რომ ვერ მოვუდეგ ამ ციხეს, წყლის პირითგან შემოველ ნაქალაქევის ნაოხრებში. თმოგვის ნახევარ ვერსის მოშორებით სომხის სასაფლაო დამხვდა: ისე ეტყობოდა ერთის გვარისა უნდა ყოფილიყო.

რა თმოგვის ნაგალავნევს ფეხი გარდავსდგი, წყლის პირობას გარდამხედ მქედს სომხის ეგვიტერი დამხვდა, რომელსაც ქამატუნს ეტყოდნენ. აქ ვნახე საჯვრე ქვეები, ამართული ნაეკკლესიარისა თუ სასაფლაოებისა. შესანიშნი იყო ერთი ჯვრის ქვა ამართული: შუა დიდი ჯვარი იყო გამოსახული ანის ხელოვნურის ჩოქურთმებით და მის აქეთ-იქით წვრილი ჩოქურთმიანივე ჯვრები: ზემო ჯვრებზედ აწერია ერთზედ წა. ნიკოლა და მეორეზედ წა. გრიგოლი, ქვემო ჯვრებზედ აწერია ერთზედ წა. სარქისი და ღვთის-მშობელი და მეორეზედ წა. პაძაია ტარიერ უკანასკნელი წა უცნობი უცხო წმიდა. მე არ შევყრივარ არსად, არც საეკკლესიო და არც სამოქალაქოს ისტორიაში. ამას რიცხვი არ ჰქონდა. ამის იქით დადგმული იყო კიდევ ასე პატარა ქამატუნი. აქაც ჯვრის ქვები იყო და სომხური ნაწერები. აგრეთვე მესამე ადგილასაცა. ამ უკანასკნელ ქამატუნში ვნახე საჯვრეზედ რიცხვი მათი ქორონიკონისა ჰჲდ, ჩვენებურად ყჲდ, ქრისტეს რიცხვით 1420 წ.

ამაზედ შემდგომ მექმნება უფრო ვრცლად საუბარი, როცა კარგად განვიხილავ მეორედ.

ამ სომხის უბნის იქით დახვდა პარსების ატრუშნები (ცეცხლთ საგზებნი) ობოლ კლდეში გამოქვაბული. ერთი შეემუსრათ ერთიან და მეორე ნახევრად. ამათ ზემოდ მართლ-მადიდებელთ ჯვარედინი ეკკლესია არის დარღვეული; ცალი კედლები და საკურთხევლისა ნახევარზედ აქვს. აქ იყო დახატული ფერადით მაცხოვარი, თ მარი, ნინო, წმ. ბასილ, წმ. გრიგოლ ღვთის მეტყველი, წმ. იოანე, ოქროპირი და ხელთ წიგნები უპყრიათ ხუცურად წარწერილი. ამაზედაც და სხვებზედაც შემდგომ უფრო დაწვრილებით.

ჯინმე მესხი.

ხიზაბავრა, 8 მკათათვეს.

თქვენის გაზეთის მკითხველმაც: მქონდა უფლება ჩემის სახლიდან მისი ხელკვრით გაგდება, როდესაც სამჯერ სიტყვით გავაგდე და ის არ მომშორდა, თუ არა?

ძნელი დასაჯერია, რო ეხლანდელ დროში სამღვდელოთ შორის კიდევ იყოს ისეთი გაუზდელი კაცი, რო სამჯერ-ოთხჯერ დაითხოვს სიტყვით შენის სახლიდან და არ მოგშორდეს. ტყვილად რო თავი არ შეიტკინოთ ეჭვებით, მე მოგახსენებთ მეორე ანალოგიურ ფაქტს, რომელიც მოხდა შარშან მოწმების წინ, რადგან ამ ახალი ფაქტის დამსწრე არავინ იყო ჩემის სახლობის მეტი. შარშან, აგვისტოს 16-ში, მე დავიწერე ჯვარი იმ ეკკლესიაში, სადაც ხუნაშვილი მსახურობს. რადგან ხუნაშვილმა რიგიანი კითხვა არ იცის, მე ამას მივე თავისი ფული და სიონის მთავარი მოვიწვიე. რაღა თქმა უნდა რო მე ეს ვახშმათ არ დამიპატიჟებია; მაგრამ დაუპატიჟებელი მობრძანდა. რაკი მოვიდა, რაღას ვიზამდი?-პატიოსნის ხათრით, რომელიც ამას ულირსად აცვია, ველარ გავაგდე. ზადავიდა შუალამეს 4 საათი. ვახშამი გათავდა, ყველა სტუმრები წავიდნენ და დარჩნენ მხოლოდ ჩემი და ჩემის მეუღლის ნათესავები და ხუნაშვილი. რა კი შევატყე, რო ადგილიდან დაძვრას არ ფიქრობს, ერთის ჩემის ნათესავის, ნ. სალარიძის პირით შევუთვალე წაბრძანდეს. არ წავალო. მერე მე თითონ ვსთხოვე რო ადგილი მქონდეს, შეიძლება-მეთქი შენიც დარჩენა, მაგრამ რა კი ადგილი არ მაქვს, გთხოვ წაბრძანდე.—მე არსად ადგილი არა მაქვსო და ვერსად ვერ წავალო.“ როგორ ადგილი არა გვაქვს, როდესაც შენ მღვდელს ოთხი ცარიელი ოთახი აქვს, წადი და იქ გამოიძინე. ან არა და თქვენ ეკკლესიის ეზოში ოთახია, იქ წადი.—მე აქ მინდა ყოფნაო.—შენ გინდა, მაგრამ მე რო არ მინდა?—რაც გინდა ის ჰქენიო, მე აქედან ხვალამდინ არსად არ წავალო რას ვიზამდი? უბრძანე მოსამსახურებს და ხელით გაიყვანეს.

მღ. დ. იოაკიმოვი.

16-ს ივლისს.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი მარლვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარლვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების სისუს-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


## მიცვალებულის შენახვა

(ბალზამით გაკეთება)

ახლად მოგონილის სისტემით, გვამის გაუჭრელად, სისხლის მილებში წამლის შეშვებით. ისეთ ნაირად შეინახება მიცვალებულის გვამი, რომ რამდენიმე კვირისა და თვის განმავლობაშიაც არ გაფუჭდება.

ფასი 40 მანეთიდამ 120 მანეთამდე.

ბალზამის საშუალების გარდა, ყინულითაც ვაკეთებ მიცვალებულის გვამს.

ფასი 15 მან. 25 მანეთამდინ.

**ადრესი:** პარომის მოიჯარადრე კადურინი, ვორონცოვის წყლის-ნაპირა ქუჩაზედ. (3—2)

## მოსამზადებელი სკოლა

### ე. თ. დოლგოვო-საბუროვისა

ამ ქამად გადატანილ არის კონსულის ქუჩაზე, სლინკოს სახლებში, № 14. სწავლა და მიღება ყმაწვილების ორივე სქესისა გრძელდება. სრული პანსიონერები იხდიან თვეში 40 მან., არა-სრული 25 მან.; გარედამ მომსვლელი ყმაწვილები 8 საათ.—1 საათ.—6 მან., ნასადილევს სწავლებით კი 10 მან. (4—3)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პაროესინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—98)

ახალი ქართული

## ქარაბადინი

იყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

დაიბეჭდა და იყიდება

## ქეთევან ყარამნის შვილის

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო ჰობალაძესთან.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

იყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ..დ.-პირ).

**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## მამულის

### საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და იყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

## ივან-არაკნი

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისაგან გადმოქართულებული თ. რ. ერისთავისა

## ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი

Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში იყიდება ჭილაძის მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი


## ტაქსი

საჭმელად ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებზე 16 ივლისიდამ 1 აგვისტომდის.

| | | |
|---|---|---|
| **გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ კ. |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| **იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| **ჯვარის-მამის პური:** | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ კ. |
| **ძროხის ხორცი:** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 9 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გირ. | 10 კ. |
| **ღორის ხორცი:** | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |


გამოვიდა ცალკე წიგნათ

დრამა

## სამშობლო!

ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.

ფასი 60 კაპ. (20—10)

## ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი,** ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და იყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი,** მეორე შევსებული გამოცემა; იყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Іюля 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხ[illegible]